ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N61

2023 წლის 04 ოქტომბერი
ქ. ამბროლაური

„კულტურისა და სპორტის სფეროში საპატიო წოდებების მინიჭებისა და ჯილდოს გაცემის პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 დეკემბერის N93 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. შევიდეს ცვლილება „კულტურისა და სპორტის სფეროში საპატიო წოდებების მინიჭებისა და ჯილდოს გაცემის პროგრამის დამტკიცების თაობაზე“ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 16 დეკემბერის N93 განკარგულებით დამტკიცებულ „კულტურისა და სპორტის სფეროში საპატიო წოდებების მინიჭებისა და ჯილდოს გაცემის პროგრამის“ მე-2 მუხლის ,,ვ'' ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) სპორტსმენი, რომელიც ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირიდან მიწვეულია საქართველოს ნაკრებში, მიიღებს პრემიას კალენდარული წლის განმავლობაში ერთხელ: პირველი საპრიზო ადგილისთვის - 1 000 (ერთი ათასი) ლარის ოდენობით, სხვა საპრიზო ადგილისთვის - 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით. სპორტსმენი დამატებით დაჯილდოვდება:

ვ.ა) კონტინენტის ჩემპიონობისთვის; პირველი საპრიზო ადგილისთვის - 3000 (სამი ათასი) ლარით, მეორე საპრიზო ადგილისთვის - 2000 (ორი ათასი) ლარით, მესამე საპრიზო ადგილისთვის - 1000 (ერთი ათასი) ლარით.

ვ.ბ) მსოფლიოს ჩემპიონობისთვის; პირველი საპრიზო ადგილისთვის - 4000 (ოთხი ათასი) ლარით, მეორე საპრიზო ადგილისთვის - 3000 (სამი ათასი) ლარით, მესამე საპრიზო ადგილისთვის - 2000 (ორი ათასი) ლარით.“.

2. ცვლილების გათვალისწინებით „კულტურისა და სპორტის სფეროში საპატიო წოდებების მინიჭებისა და ჯილდოს გაცემის პროგრამა“ ჩამოყალიბდეს დანართის შესაბამისად.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ამბროლაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ამბროლაური, კოსტავას ქუჩა N13).

4. განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე ასლან საგანელიძე